ბრძანება

ქ. თბილისი

N 1321-03
24/08/2026

,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის N1157-03, 23/07/2026 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

რექტორის N1157-03, 23/07/2026 ბრძანებით გამოცხადდა მიღება 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე. ვინაიდან მიმდინარე წელს არაერთმა აპლიკანტმა მომართა უნივერსიტეტს ზემოთ მითითებული ბრძანებით განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის, რომელიც ზეპირი გასაუბრების ფორმატში ტარდება, დისტანციურ რეჟიმში ჩატარების მოთხოვნით, ხოლო შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისთვის შერჩეული შეფასების მეთოდი — ზეპირი გასაუბრება — იძლევა შესაძლებლობას, აპლიკანტი შეფასდეს დისტანციური ფორმატითაც, ობიექტურობისა და შეფასების დადგენილი კრიტერიუმების დაცვით და შესაბამისად, ონლაინ რეჟიმში ზეპირი გასაუბრების ჩატარება არ შეზღუდავს აპლიკანტის ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების შეფასების შესაძლებლობას, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნისა და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, იყოს შესაძლებლობა ზეპირი გამოცდა ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების, “პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის N113/ნ ბრძანების, რექტორის N2149-02, 06/08/2026 ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის N13150-35, 20.08.2026 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის N1157-03, 23/07/2026 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მე-8 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2026 წლის 3 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით; შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შესაძლოა აპლიკანტის მიერ დასაბუთებული მოთხოვნის წინასწარ, გონივრულ ვადაში

წარმოდგენის შემთხვევაში ჩატარდეს დისტანციურ ფორმატში. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია აპლიკანტს განუსაზღვროს დისტანციურ რეჟიმში გამოცდის სრულფასოვნად ჩასატარებლად აუცილებელი ტექნიკური უზრუნველყოფის პირობები.''

2. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს.
3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • ეროვნული ბიბლიოთეკა